ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲜᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1944 Წ. № 252 (7205). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲐ. „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ. (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ. 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ. (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ. (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

Ა. Ს. ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ. (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

Გ. ᲙᲐᲖᲐᲙᲝᲕᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲔᲚᲡ. (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ. (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲐ

— როცა ჩვენ გაზაფხულზე ხელს კაწერდით ამხანაგ სტალინისათვის გასაგზავნ წერილს, მე მთელი ხალხის წარსაწე პირობა დავდე, რომ ვიშრომებდი სამშობლოს საკეთილდღეოდ, გამარჯვებისათვის — მანამდე, სანამ აულ უკანასკნელი ძალა შემრჩებოდა ხელში. მე ვცდილობდი პირნათლად შემასრულებინა ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ 60 წლისა ვარ, წელს 10 ჰექტარზე გავთიბე მოსავალი. ცელი ჩემს დღეში არა მჭერია ხელში, წელს კი ავიღე. იმ რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, თითქმის ერთიოთხად მეტი კარტოფილი აიღო. ვიდრე გეგმით გვქონდა მოცემული... მთელი ჩემი რგოლი, ჩვენი კოლმეურნეობის ყველა ქალი ისე იმუშავებს, რომ ამხანაგმა სტალინმა მომავალ წელსაც გვითხრას: კარგია!

ასე ამბობდა კოლმეურნე ანა დერუნი კიევის ოლქის ოფელ ბოროდიანკის გლეხთა კრებაზე. კრებაზე დასმული იყო კოლმეურნეობის მიერ სოციალისტური ვალდებულების შესრულების ანგარიში. კოლმეურნე ანა დერუნის გამოცდილება იმას მოწმობს, თუ რა დიდია ადამიანის მიერ მიცემული სიტყვის ძალა. კოლმეურნეთა წინაშე საჯაროდ თქმული სიტყვის ძალა. მისი გამოცდილება მოწმობს საკოლმეურნეო სოფელში სოციალისტური შეჯიბრების ძალას.

სოციალისტური შეჯიბრების წარმატებებს მოწმობს სსრ კავშირის სახელმსაბჭოს ცნობა, რომელიც აუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა. მთავრობამ შეაჯამა უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მეორე ტურის შედეგები. მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, კალინინისა და პოლტავის ოლქებს ეძლევათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები მოსავლის აღების ანეულის ხვნის, საშემოდგომო კულტურების თესვისა და მზრალად ხვნის გიგმების შესრულებისათვის. მოსკოვის, ტულის ოლქებს, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას, დაღესტნის ასს რესპუბლიკას და ყაზახეთის სს რესპუბლიკის გურიევის ოლქს ეძლევათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები პირველ ოქტომბერს არსებულ მდგომარეობით. მიხედვით საკოლმეურნეო მეცხოველეობის ვანითარებისა და პროდუქტიულობის საუკეთესო შედეგებისათვის. მთავრობამ აღნიშნა მთელი რიგი რესპუბლიკებისა და ოლქების კარგი მუშაობა მემინდვრეობისა და მეცხოველეობის დარგში. მთავრობის გადაწყვეტილებაში დასახელებულია 15 რაიონი, რომლებმაც უხვი მოსავალი მიიღეს, და 15 რაიონი, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს საკოლმეურნეო მეცხოველეობის დარგში.

უაღრესად საყურადღებოა, რომ ომის მეოთხე წელს ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე. წინაომიანი წარსული ომების გამოცდილებისა, რომლებსაც სოფელი გადატანილა-გაჩანაგებამდე მიჰყავდათ, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მიწათმოქმედების განუხრელი ზრდა, განუხრელი პროგრესი, ჩვენი სოფლის მატერიალური ბაზის, მისი საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდა. სწორედ ამიტომ წითელი არმია ომის მეოთხე წელს არ განიცდიდა სურსათის ნაკლებობას, ხოლო მრეწველობა—ნედლეულისას. სწორედ ამიტომ ამარაგებს ქვეყნის პროდუქტებით სოფელი ქალაქს.

საბჭოთა გლეხებმა იციან თავიანთ გამარჯვებათა წყაროები — სოციალისტური წყობილება, საკოლმეურნეო წყობილება. იმ ეშშარიტად ასწყაულებრივ სანქციებში, რომლებიც ამჟამად სოფლად ხდება. გამოხატულია ამ წყობილების ძალა. ეს საქმიანი სოფლად ახალი, სოციალისტური ურთიერთობის შედეგია. ეს საქმეები შედეგია სოციალისტური შეჯიბრებისა — მილიონობით ადამიანთა შრომისა ამ უმაღლესი ფორმისა.

შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის მოწინავე რაიონთა სია მოსკოვის ოლქით იწყება. ამ ოლქმა მიაღწია თავისი ყანების უხვ მოსავალს. ჯოგისა და მისი პროდუქტიულობის ზრდას. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ამ ოლქის ტერიტორია მომხმარებელი რაიონების თანრიგს ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვის ოლქის სოფელი მიტანილი პურით იკვებებოდა. მით უფრო დამახასიათებელი და საგულისხმოა მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობების მიერ მიღწეული წარმატებანი. მათ დაგვანახვეს, თუ რაოდენ დიდია კოლმეურნეობათა შესაძლებლობა. რის მიღწევა შეიძლება, თუ საქმე უნარიანად მოეწყოთ. რა ითავმიანი შეიძლება იყოს გონივრულად წარმართული შრომა, რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლის მეურნეობის კომპლექსურობისათვის ბრძოლაში, თუ იგი ბოლშევიკურად არის მოწყობილი. ჯერ კიდევ ომამდე კოლომნის, კომუნისტურ და ლენინგრადის რაიონებში ყაცს ეკონომიდა რომ ბევრი კოლმეურნეობა იღებდა იმის მაჭსიმუმს, რის მოცემაც შეეძლოთ მათს მინდვრებსა და ფერმებს. ახლა კოლმეურნეობები შორს წავიდნენ. ლაპარაკია მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების შესახებ. ლაპარაკია ბაბედული და ორიგინალური აზრის შესახებ. ნოვატორობის შესახებ. კოლმეურნეობები აწავლობენ ყოველი ტექნიკური მიწოს მაქსიმალურად გამოყენებას.

მოსკოვის ოლქის მაგალითი მეტეკრმეტყველურად მოწმობს სოფლის მეურნეობის ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობებს, საკოლმეურნეო სოფლის ძალავრ პოტენციალს.

მოწინავეთა სიაში ჩვენ ვხედავთ კიევის ოლქის საბელს. მისი ტერიტორია საშემარი მოქმედების ზონა, გერმანელთა ოკუპაციის ზონა იყო. გერმანელმა დამპყრობლებმა ააოხრეს და გაძარცვეს ამ ოლქის კოლმეურნეობები. ისინი ვარაუდობდნენ, რომ უკრაინა დიდხანთ დაკარგავდა ჩვენი ქვეყნის ბელლი საბელს. ისინი ვარაუდობდნენ, რომ უკრაინელი მეხვნელ-მთესველნი დიდხანს ვერ გამოაცოცხლებენ თავიანთი საზოგადოებრივი მეურნეობის საქმეს. ერთ წელზე ცოტა მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც კიევის ოლქი ოკუპანტებისაგან განთავისუფლდა, და უკვე ახლა ეს ოლქი მთელი ჩვენი ქვეყნის გასაგონად აცხადებს, თუ რა საუცხოო შედეგებს ძალაუნა თავისი ყოფილი დიდებით აღდგენისათვის ბრძოლაში. კიევის კოლმეურნეობებმა ძნელ პირობებში შესძლეს მოეყვანათ და აეღოთ კარგი მოსავალი, საუკეთესო ვადებში დაეთესათ საშემოდგომო კულტურები და მზრალად ნახნავით მომავალი წლის მოსავლის მტკიცე საფუძველი ჩაეყარათ. კიევის ოლქი პერეიასლავ-ხმელნიცკის რაიონში მოგვცა მეცხოველეობის აღდგენისათვის ბრძოლის ნიმუში. ეს განთავისუფლებული რაიონების წინაშე მდგომი ყველაზე რთული ამოცანაა. და ეს ამოცანა წყდება დღეს. მეცხოველეობაში, ისევე როგორც მემინდვრეობაში, საქმ ს წარმატებას სწყვეტენ მასიბის ინიციატივა, მათი თავდადებული შრომა, მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრება

კიევის ოლქის მაგალითი გვიჩვენებს განთავისუფლებულ რაიონებში სოციალისტის მეურნეობის აღორძინებისათვის ბრძოლის გზებსა და მეთოდებს.

იმ რაიონების, ოლქებისა და რესპუბლიკებისაგან, რომელთა მუშაობაც აღინიშნა მთავრობამ, უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება. როგორ გადავაქციოთ იგი საყოველთაო-სახალხო მოძრაობად. უნდა ვისწავლოთ, როგორ უზრუნველვყოთ შეჯიბრების საჯაროობა. როგორ წამოაწყოთ წინ ჩამორჩენილნი. როგორ წავახალისოთ მოწინავენი. უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ შევუხამოთ ერთმანეთს სიტყვა და საქმე.

ოფელი მალე დაამთავრებს სასოფლო-სამეურნეო წელიწადს. ოფელი შეჯიბრების ეკანასკნელ ეტაპში შევიდა. რესპუბლიკები, ოლქები და რაიონები ამჟამად იბრძვიან პირველობისათვის შეჯიბრებაში მთელი 1944 წლის შედეგთა მიხედვით. ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით დამთავრება, სახელმწიფო ჩაბარებათა დარგში და მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების დარგში ვალდებულებათა შესრულება გამარჯვებია აუცილებელი პირობაა. შეჯიბრების უკანასკნელ პერიოდში გადაჭრით და უმოკლეს ვადაში უნდა აღმოიფხვრას ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების ჩამორჩენა სახელმწიფოსადმი პურის ჩაბარების საქმეში. პასუხისმგებლობის გრძნობამ სახელმწიფოს წინაშე და იმ მეზობლების წინაშე, რომლებმაც შეუპოვარი, თავდადებული შრომით პირველობა მოიპოვეს შეჯიბრებაში. უნდა განსაზღვროს ამ რაიონებისა და კოლმეურნეობების პრაქტიკა წლის ეკანასკნელ დღეებში.

ვანქვრეტა, იმის გათვალისწინება, თუ რა უნდა გაკეთდის ხვალ, ახალი საქმეებისათვის წინასწარ მომზადება — ეს თვისებები სჩვეოდათ მოწინავე რაიონების ადამიანებს. მოსკოვის ოლქშიც, კიევის ოლქშიც და სხვა ოლქებშიც კოლმეურნეები, მტს-ების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ახლავე ენერგიულად ემზადებიან მომავალი გაზაფხულისათვის. ამ მომზადების ხარისხზე დამოკიდებულია საგაზაფხულო თესვის წარმატება. ტრაქტორების რემონტი, კადრების მომზადება, თესლის შენახვა და დაცვა, შინდერად პატივის გატანა, თოვლის შეკავება — ყოველივე ეს თესვისათვის მომზადების უაღრესად მნიშვნელოვანი რგოლებია. ეს სამუშაოები რომ სათანადოდ იქნას შესრულებული, ამისათვის უნდა ვისწავლოთ მუშაკებს, ვასწავლოთ ახალ ადამიანებს, რომლებიც რგოლებს, ბრიგადიებს, კოლმეურნეობებს ხელმძღვანელობენ, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს მანქანას. ამჟამად არის ამ სწავლების დრო, სწავლებისა, რომლისთვისაც არ უნდა დავიშუროთ არც ძალა, არც სახსრები, იწაილებისა, რომელიც გაამართლებს თავის დანიშნულებას.

ზამთარი ის დრო, როცა მოწმდება კოლმეურნე მეცხოველეთა შრომა და ოსტატობა. მთ უნდა უზრუნველჰყონ, რომ საქონელი ზამთარში მაძღარი იყოს და თბილი ბინა ჰქონდეს, უნდა შეინარჩუნონ და გამოზრდონ მოზარდეული. ისინი მოვალენი არიან გაადიდონ ჯოგის პროდუქტიულობა.

ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებისა და ბრძანების განხილვისას საკოლმეურნეო სოფელმა ბელადს პირობა მისცა, რომ ამაღლებს თავის როლს სამამულო ომში და ამით დაიჩქარებს მტერზე გამარჯვების მოახლოებას. საბჭოთა გლეხობის სიტყვა სერიოზული სიტყვაა. იგი ცოცხალ, შემოქმედებითს საქმედ იქცევა.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ომიანობის ვითარებასთან დაკავშირებით გადაიდოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები 1945 წლის დეკემბრამდე და ამ ვადით გაუგრძელდეს წარმომნიბანი სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ა. ᲒᲠᲘᲠᲙᲘᲜᲘ

მოსკოვი, კრემლი 1944 წ. 14 დეკემბერი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲜᲔᲜ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ

14 დეკემბერს მოსკოვიდან ლიუბლინს გაეგზავნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას თავმჯდომარე ბ-ნი ბერუტი, პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ოსუბკა-მორავსკი და გენერალ-პოლკოვნიკი როლიკ-ჟიმერსკი. (საკ-დესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

15 დეკემბრის განმავლობაში უნგრეთის ტერიტორიაზე ქალაქ **ᲛᲘᲨᲙᲝᲚᲪᲘᲡ** ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **ᲡᲔᲜᲓᲠᲘᲝ**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ᲢᲐᲚᲘᲐ, ᲒᲔᲠᲜᲐᲓ-ᲙᲔᲠᲩᲘ, ᲒᲔᲠᲔᲢᲘ, ᲑᲐᲙᲢᲐ, ᲒᲐᲓ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, ᲡᲣᲮᲝᲓᲘ, ᲠᲣᲓᲐᲒᲐᲜᲘᲐ, ᲜᲘᲐᲠᲐᲓᲘ, ᲗᲐᲘᲝ-ᲕᲔᲚᲔᲡᲘ, ᲑᲐᲜᲗᲐᲚᲕᲐ, ᲢᲐᲠᲓᲝᲜᲐ, ᲛᲐᲚᲘᲜᲙᲐ** და რკინიგზის სადგური **ᲢᲐᲚᲘᲐ**.

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი **ᲨᲐᲮᲘ**.

14 დეკემბრის ბრძოლებში უნგრეთის ტერიტორიაზე **ᲛᲘᲨᲙᲝᲚᲪᲘᲡ** ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1,015 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

14 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 29 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთის ტერიტორიაზე ქალაქ **ᲛᲘᲨᲙᲝᲚᲪᲘᲐ** ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ. გაიმარჯვებული ბრძოლები მოხდა ქალაქ სენდრიოსათვის—გერმანელებია თავდაცვის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტისათვის ჩდილოეთ ბუდაზე. ღამით ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლები გაჩაღეს ამ ქალაქის აღმოსავლეთ და სამხრეთ გარეუბნებში. ამ დროს საბჭოთა მოძრავმ ქვეგანაყოფებმა შემოვლითი მანევრი მოახდინეს და ბეტრს ჩრდილოეთიდან დაარტყეს. ჩვენმა ჯარებმა კასტეხეს ტრია წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური სენდრიო. მოსპობილია ტრია 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები. ახვა ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც მდინარე შაიოს გაყვრივ ეტეკენ, 10 კილომეტრით წაიწიეს წინ დ. დაიკავეს მთელი რიგი დაახლებული პუნქტები.

* * *

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები მდინარე იპელზე გადავიდნენ და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შეეადნენ. ქალაქ შახი აღმოსავლეთით და დასავლეთით შეუპოვარი ბრძოლები გაიმართა. მოწინააღმდეგე ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა მოეკავა პლაცდარმი და მდინარის აქეთ უკუეგდო ჩვენი ჯარები. გერმანელებმა საჩქაროდ გამოიყვანეს სს-ელთა მოიერიშე ბრიგადა და ატანკო ნაწილები და არაერთხელ მოიტანეს კონტრერიში საბჭოთა ნაწილებზე. ჩვენი მებრძოლები მტრის მოწოლას უმკლაკდებოდნენ და ძალებს იკრებდნენ. შემდეგ კი ძლევრად დაარტყეს მას და ქალაქ შახში შეიჭრნენ. მთელ ღამეს ბრძოლდებოდა ბრძოლები ქუჩებში. გათენებისას ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელები და დაიკავეს მტრის თავდაცვის ფიდმნშენელოვანი დასაყრდენი პუნქტი—ქალაქ შახი. ეს ქალაქი ბეტაკეცილებისა და რკინიგზების კვანძს წარმოადგენს. ქალაქ შახისათვის ბრძოლებში. არასრული ცნობებით. გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. დაზიანებული და დაჭრილია მოწინააღმდეგის 13 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელთა ქკეითი ჯარის მცირე ჯგუფებმა სხვადასხვა უბანზე სცადეს შემოვეწიათ ჩვენი თავდაცვის განლაგებაში. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა მოწინააღმდეგე გაჰფანტეს და ამასთან ერთ ასეულამდე ჰიტლერელი გაეკლიტეს. ჩვენი სნაიპერების ცეცხლით დღის განმავლობაში მოსპობილია 70 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲝᲛᲑᲓᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲘ, ᲛᲝᲘᲔᲠᲘᲨᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ. ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ. (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 14 დეკემბერი. (საკდესი). სოფიის რადიომ გადასცა ბულგარეთის მთავრობის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„იღებს რა მხედველობაში, რომ ბულგარელი ხალხი აქტიურად ამყოფავნებს ნება-სურვილს — შეინარჩუნოს სამამულო ფრონტის ანტიფაშისტური ძალების ერთიანობა და ბოლომდე მიიყვანოს 9 სექტემბრის საქმე, ბულგარეთის მთავრობა აცხადებს:

1) დაემყარება რა ბულგარელი ხალხის მხარდაჭერას, მთავრობა უაღრესად ვადამწყვეტ ღონისძიებებს იხმარს, რათა უახლოეს ხანში განხორციელდეს სამამულო ფრონტის პროგრამა.

2) მთავრობა გადაჭრით და ულმობლად იბრძოლებს ფაშისტური ელემენტების წინააღმდეგ, რათა სწრაფად და საბოლოოდ გასწინდოს სახელმწიფო აპარატი ფაშისტ მესაბოტაჟეთა და მტრის აგენტთაგან.

3) სახალხო არმიის განახლებისა და წმენდის დროს მთავრობა იხელმძღვანელებს იმით, რომ არმიიდან დათხოვნილ იქნან უცხო ბანაკლინს ყველაზე აქტიური გამტარებელნი, ფაშიზმის აშკარა აგენტები და ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო დამნაშავენი, ამასთან წმენდა ჩატარდება უაღრესად მოკლე ვადაში, რათა ოფიცერთა დანარჩენ ნაწილს შეეძლოს გაბედულად შეუდგეს იმ დიდი და უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებას, რომლებიც არმიის წინაშე დგას. რაც შეეხება ი? პირთ, რომელთაც მცირე დანაშაული მიუძღვით და დანაშაული ჩაიდინეს ზევიდან მიღებული ბრძანების შესრულების შედეგად, მთავრობა ლმობიერებას გამოიჩენს მათდამი, დასტოვებს მათ არმიის რიგებში და საშუალებას მისცემს აქტიური საქმიანობით გამოისყიდონ დანაშაული. მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რაც საჭიროა ჭომავალი ოფიცერთა შემადგენლობის უზრუნველსაყოფად, რათა ჩვენს ოფიცრებს შეეძლოთ თავიანთი ადგილი დაიკავონ არმიის რიგებში, როგორც ნამდვილმა სახალხო მეთაურებმა.

4) თავის მომავალ საქმიანობაში მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაყრობს სამეურნეო და საფინანსო საკითხთა გადაწყვეტას. სამეურნეო სიძნელეთა შესამსუბუქებლად, სამეურნეო საქმიანობის გასაძლიერებლად და ყველა მშრომელისათვის რიგიანი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად მთავრობა მიიღებს მთელ რიგ კანონპროექტებს.

5) მთელ თავის საქმიანობაში მთავრობა დაემყარება ბულგარელი ხალხის მხარდაჭერასა და ჩაულშეწყობას და ყოველ ღონეს იხმარს სამამულო ფრონტის ერთიანობის განსამტკიცებლად. მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს ბულგარეთში შინაწესრიგის განსამტკიცებლად და ომის წარმატებით დასამთავრებლად“.

Ა. Ს. ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1945 წლის 15 იანვარს სრულდება 150 წელი დიდი რუსი მწერლის აღექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვის დაბადებიდან, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დააარსა სრულიად-საკავშირო კომიტეტი ა. ს. გრიბოედოვის დაბადების 150 წლისთავის ჩასატარებლად. კომიტეტში შედიან: ლ. მ. ლეონოვი (თავმჯდომარე), ლ. ს. სობოლევი (თავმჯდომარის მოადგილე), ი. ბარბარუსი (ვარესი), სამედ ვურგუნი, ა. მ. გერასიმოვი, გულამ ჯაფური, ა. მ. ეგოლინი, ვ. ვ. ივანოვი, ა. ს. ისაკიანი, ვ. ა. კალაფატი, ა. ე. კორნეიჩუკი, ე. ე. ლანსერე, ᲒᲐ. Ნ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ, Მ. ᲢᲐ. ᲚᲘᲜᲬᲝᲕᲘ, Ნ. Ა. ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘ, ი. მ. მოსკვინი, ს. პ. ობნორსკი, ნ. კ. პიკასანოვი, დ. ა. პოლიკარპოვი, ვ. პ. პოტიომკინი, ვ. ი. პუდოვკინი, პ. მ. სადოვსკი, ნ. ვ. სობოლშჩიკოვ-სამარინი, ა. ტ. ტვარდოვსკი, ნ. ს. ტიხონოვი, ა. ნ. ტოლსტოი, კ. ა. ტრენევი, ა. მ. უბიტსი. მ. ბ. ხრაპჩენკო, ს. ი. ჩიქოვანი, ვ. ფ. შიშმარევი, ი. მ. იურიევი, ა. ა იაბლოჩკინა.

კომიტეტს დაევალა შეიმუშავოს ღონისძიებანი ა. ს. გრიბოედოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად და ხელი შეუწყოს ა. ს. გრიბოედოვის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციას **საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის.**

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ

(ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, „ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

„კომსომოლსკაია პრავდის“ 13 დეკემბრის ნომერში ამ სათაურით მოთავსებულია შემდეგი კორესპონდენცია:

მებრძოლები თავდახრილნი იდგნენ მეტყვიამფრქვევე პეტრე ოხრემენკოს საფლავთან. აქ იყვნენ ათმეთაური სერჟანტი ანდრია სამოილოვი, მებრძოლები ხოხლოვი, გოგლიძე, ალტინბაევი, პოსპელოვი, ფიშმანი, ხატანაევი, გლიბინი. თვითეულმა მათგანმა თითო მუჭა მიწა მიაყარა ამხანაგის კუბოს. შემდეგ სამგზის გაისმა სალუტი, რომელმაც შესძრა ჰაერი.

ამხანაგებმა წერილი მისწერეს პეტრე ოხრემენკოს დედას. დედის პასუხი მებრძოლებმა რუმინეთის ქალაქ იასის ახლოს მიიღეს. სერაფიმა სიმონის-ასული ოხრემენკო იწერებოდა თავისი მეუხარების შესახებ, სთხოვდა მებრძოლებს, ათეულის ყველაზე ღირსეული მებრძოლი ჩემი შვილი იყოსო. მაშინ ამხანაგებმა გადასწყვიტეს, რომ უკანასკნელ ბრძოლაში გმირობის გამოჩენისათვის ეს პატივი მოიპოვა მებრძოლმა გოგლიძემ. მას ბავშვობიდანვე აღარა ჰყოლია არც დედა, არც მამა. და აი ამ დღიდან თავისი სამშობლოს დამცველ მამაც მებრძოლ გოგლიძეს გაუჩნდა კეთილი, მოალერსე დედა. იმ ათეულის მებრძოლებმა, რომელშიც საბჭოთა მრავალი ხალხის წარმომადგ

საბჭოთა რადიომაუწყებლობის ოცი წელი

ოცი წლის წინათ საბჭოთა კავშირში დაიწყო ფართო რადიომაუწყებლობა. რადიო დიდმა რუსმა მეცნიერმა ა. ს. პოპოვმა გამოიგონა, და წარმატებითი მუშაობა მაუწყებლობის მოსაწყობად ჩვენს ქვეყანაში უფრო ადრე სწარმოებდა, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

ლენინმა და სტალინმა პირველებმა მიაქციეს ყურადღება რადიოს მნიშვნელობას არა მარტო ტექნიკური კავშირგაბმულობისათვის, არამედ მასებთან კავშირისთვისაც, აგიტაციისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღიდან საბჭოთა რადიოსადგურებმა იწყეს ლენინის რადიოგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართული იყო ხალხისადმი. 1919 წლის დამლევს დაიწყო საცდელი მეტყველებითი გადაცემანი სპეციალური რადიოსტელეფონო სადგურის საშუალებით. ლენინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით დაახასიათა რადიომაუწყებლობა, როგორც უძალაღლო და უმანძილო გაზეთი. ვლადიმერ ილიას-ძის წინადადებით შემუშავდა რადიომშენებლობის ფართო პროგრამა, დაიწყო მძლავრი რადიომაუწყებელი სადგურის შექმნა. 1922 წლის 17 სექტემბერს ამ სადგურიდან ფართო მაუწყებლობის წესით გადაცემულ იქნა ღია კონცერტი. მას ისმენდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და საზღვარგარეთ.

1924 წლის დამლევს შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში ფართო რადიომაუწყებლობის მოსაწყობად.

რადიოს განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამხანაგი სტალინი. 1927 წელს ოთხსენებაში პარტიის XV ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა რადიოსა და კინოს როლს მასების კულტურული დონის ამაღლებაში და მიუთითებდა: „მართლაც, რატომ არ უნდა ავიღოთ ჩვენს ხელში ეს უმნიშვნელოვანესი საშუალებანი და არ ჩავაყენოთ ამ საქმეში დამკვრელი ადამიანები ნამდვილ ბოლშევიკთაგან, რომლებსაც შეეძლებათ წარმატებით გააჩაღონ საქმე“.

პარტიის მზრუნველობისა და ყურადღების მეოხებით, რადიომაუწყებლობას ჩვენს ქვეყანაში უფარფატოდ გასაქანი მიეცა. განხორციელებულია ლენინის აზრები რადიოზე, როგორც უძალაღლო და უმანძილო გაზეთზე. რადიო მტკიცედ შევიდა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში. ჩვენს ქვეყანაში მილიონობით არის დანადგარები მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან გადაცემათა მოსასმენად. დედაქალაქიდან რადიოთი გადაცემული ამბავი მაშინვე ცნობილი ხდება მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. რადიოდანადგარები მუშაობენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, ათეულ ათასობით კოლმეურნეობასა და სასოფლო საბჭოში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, ხომალდებზე, მატარებლებში და ფრონტზე. უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაცემათა დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა რეპროდუქტორებთანაა.

საბჭოთა მაუწყებლობა სწარმოებს სსრ კავშირის ხალხთა 70-ზე მეტ ენაზე და 28 უცხო ენაზე.

მარტო მოსკოვის ცენტრალური მაუწყებლობის მოცულობა დღე-ღამეში 88 საათს შეადგენს. მაუწყებლობას ეწევა აგრეთვე 126 რესპუბლიკური, სამხარო და საოლქო რადიოკომიტეტი. ქალაქებში, რაიონებსა და საწარმოებში მუშაობს რადიომაუწყებლობის ორი ათასზე მეტი რედაქცია, რომლებიც თავის გადაცემებში ასახავენ ათეულობრივი ცხოვრების ამბებს. რადიო ინფორმაციის ყველაზე მასობრივი და ოპერატიული საშუალება გახდა. მის გადაცემებში გამოყენებულია აგიტაციის, პროპაგანდისა და ხელოვნების უაღრესად მრავალფეროვანი ფორმები და საშუალებანი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რადიოს დიდი სამამულო ომის დღეებში. მთელი მსოფლიო ისმენდა ამხანაგ სტალინის ისტორიულ გამოსვლებს, ისმენს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებს, მოსკოვის სალუტებს წითელი არმიის გმირკაცებისადმი. რადიო გადასცემს ეროვნულ ინფორმაციას ფრონტებზე, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. მარტო მოსკოვიდან ყოველდღე ხდება უკანასკნელი ცნობების 14 გამოშვების გადაცემა.

სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება რადიორეპორტაჟს—გადაცემებს უშუალოდ ამბების ადგილიდან. არაერთხელ სწარმოებდა ტრანსლაციები ფრონტის მოწინავე ხაზიდან, აეროდრომებიდან, სატანკო ნაწილებიდან. რადიოთი რეგულარულად სწარმოებს პროპაგანდისტული და სამეცნიერო-პოპულარული საუბრების გადაცემა. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდან მოეწყო წერილების გადაცემა ფრონტზე და ფრონტიდან. სრულიად-საკავშირო რადიოკომიტეტმა ომის სამი წლის განმავლობაში მიიღო თითქმის ორი მილიონი წერილი,—უმეტესწილი ოჯუფნენტები, რომლებიც ასახავენ მილიონობით საბჭოთა პატრიოტის ფიქრებსა და გრძნობებს ომის მკაცრ დღეებში.

რადიომაუწყებლობა დიდ მუშაობას ასრულებს ბავშვთა აღზრდის დარგში, იხმარება მათ დასვენებისა და სწავლის, მოწყობაში. გარდა საუბრებისა და ლიტერატურული გადაცემებისა საბავშვო მაუწყებლობაში დიდი ადგილი უჭირავს ინფორმაციას, მუსიკასა და თეატრალურ დადგმებს.

თეატრებიდან და რადიოსტუდიებიდან ტრანსლირებულ სპექტაკლებს, დადგმებსა და კონცერტებს ისმენს მილიონობით ადამიანი, რომლებიც გადაცემის ადგილიდან ათასობით კილომეტრ მანძილზე იმყოფებიან ქალაქებსა და პატარა დასახლებულ პუნქტებში. რადიომ მილიონობით მშრომელთა კუთვნილებად გახადა მუსიკალური კულტურის საუკეთესო ნაწარმოებნი. ჩვენს ქვეყანაში არ არის არც ერთი დიდი შემსრულებელი და მუსიკალური კოლექტივი, რომელიც მიკროფონთან არ გამოსულიყოს. ბგერის ჩაწერის საშუალებათა გამოყენების მეოხებით, მაუწყებლობის. რეპერტუარი გაცილებით უფრო ფართოა თეატრებისა და საკონცერტო ორგანიზაციების რეპერტუარზე, ყველა ერთად რომ ავიღოთ, საკმარისია, მაგალითად, აღინიშნოს, რომ მარტო მოსკოვის მაუწყებლობით წელს გადაცემულ იქნა 6 ათასზე მეტი მუსიკალური ნაწარმოები.

არ არის არც ერთი მწერალი და პოეტი, რომლის ნაწარმოებებიც არ შედიოდეს ლიტერატურულ გადაცემებში, არ არის არც ერთი გამოჩენილი მსხიობი და წამკითხველი, რომელიც არ გამოსულიყოს მიკროფონთან. დრამატიული თეატრების ყველა საუკეთესო სპექტაკლი გადაცემული იყო რადიოთი სრულად ან მონტაჟების სახით და ნაწყვეტებად.

რადიოგადაცემათა მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილობენ ავტორთა და შემსრულებელთა საუკეთესო ძალები, მეცნიერები, ჟურნალისტები და მწერლები ჩვენი ქვეყნისა, ათასობით სხვა საბჭოთა ადამიანი.

საუბრებითა და ლექციებით გამოდიან საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები. რეგულარულად გამოდიან საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ხელძღვანელი მუშაკები, მეცნიერები და მწერლები. ათეულ ათასობით მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი რადიოს შტატგარეშე კორესპონდენტია.

ინტერესი რადიომაუწყებლობისადმი, როგორც ინფორმაციისა და კულტურული დასვენების წყაროსადმი, ძალიან დიდია. სოფელ ადგილებსა შრომითი დღის შემდეგ ადამიანები ხშირად რამდენიმე კილომეტრზე მიდიან ქოხ-სამკითხველოში ან სასოფლო საბჭოში, რომ მოისმინონ, რა ახალ ამბავს გადმოსცემს რადიო.

იმ რაიონებში, რომლებიც დროებით დაპყრობილი იყო გერმანელების მიერ, მოსკოვის რადიოს ცნობების გავრცელება დიდად უწყობდა ხელს ოკუპანტების წინააღმდეგ საბჭოთა ადამიანების აქტიური ბრძოლის მოწყობას. საშინელი ტანჯვისა და სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, საბჭოთა ადამიანები ცდილობდნენ მოესმინათ მოსკოვის რადიოსადგურების გადაცემანი, სიტყვები, რომლებიც მოსკოვიდან ისმოდა, გამოჯანსაღებულ წერგავდნენ, ძალისა და მამაცობის წყაროს წარმოადგენდნენ.

გერმანელები, რომლებმაც იცოდნენ საბჭოთა რადიოს ძალა, მისი გავლენა ხალხზე, დროებით ოკუპირებული რაიონებიდან უკანდახევისას განსაკუთრებული გაბოროტებით სპობდნენ ყოველივე იმას, რასაც კი დამოკიდებულება ჰქონდა რადიოსთან. ჰიტლერელ დამპყრობთა განდევნის შემდეგ ყველა რაიონში მაუწყებლობის საშუალებები სავსებით დაგროვილა ათმოჩნდა. ბევრ ადგილას ვერმანელები წასვლის წინ მოსახლეობას რეპროდუქტორებს ართმევდნენ და სწავდნენ. ამ-ქამად სწარმოებს რადიომაუწყებლობის აღდგენა განთავისუფლებულ რაიონებში.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა რადიომაუწყებლობის განვითარებასა და გაუმჯობესებას. ოცი წლის მანძილზე რადიო ჩვენი აგიტაციისა და პროპაგანდის, საბჭოთა ადამიანების იდეური და კულტურული დონის ამაღლების მძლავრი იარაღი გახდა. დიდია გაწეული მუშაობის მასშტაბები. მაგრამ დიდია რადიომაუწყებლობის მუშაკთა პასუხისმგებლობაც. ჯერ ჯერ-ობით მთლიანად არ არის გამოყენებული ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია. გადაჭრით უნდა ავამაღლოთ გადაცემათა ხარისხი ცენტრალურ და განსაკუთრებით ადგილობრივ და რაიონულ მაუწყებლობაში. ადგილობრივი რადიოკომიტეტების გადაცემანი ხშირად ვერ შეესაბამებიან მსმენელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს, სულტან აშიქებენ საბჭოთა ზურგის გმირულ მუშაობას, ნაკლებად ეხმარებიან მსმენელებს მათს ზრდაში. სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება რაიონულ მაუწყებლობას, რომელიც მოწოდებულია რაიონის სამეურნეო განაგრძოს გაზეთების მუშაობა. ამიტომ რაიონული მაუწყებლობა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სერიოზულ დახმარებას საჭიროებს. უნდა მიეაღწიოთ, რომ ყველა ჩვენი გადაცემა ღრმა შინაარსიანი იყოს, მსმენელთა ინტერესს იწვევდეს, მათს ჰორიზონტს აფართოებდეს.

დიდი ამოცანებია გადასაწყვეტი ტექნიკის დარგშიც, აგრეთვე რადიოქსელის მდგომარეობის გაუმჯობესების, რადიოწერტილების რაოდენობის ზრდის დარგში, რადიოკვანძებისა და სატრანსლაციო ქსელების მუშაობის ყოველდღიურ კონტროლს უნდა უშრომდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები და საზოგადოებრიობა.

ოცი წლის მანძილზე რადიომაუწყებლობაში დიდი გამოცდილება დაგროვდა. ეს გამოცდილება საჭიროა სავსებით გამოვიყენოთ, მივაღწიოთ, რომ რადიო გახდეს აგიტაციისა და პროპაგანდის, მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად საბჭოთა ხალხის მობილიზაციის კიდევ უფრო მძლავრი იარაღი.

ბ. კაზაკოვი

კვლავ სამშობლოში

მინსკი, 11 დეკემბერი. (საკადსი). მინსკის, ბარანოვიჩის, ბრესტისა და ბელორუსიის სსრ სხვა ქალაქების მშრომელნი გულთბილად ხვდებიან ბელორუს მოქალაქეებს, რომლებიც ჰიტლერელებმა ძალად გარეკეს და წითელმა არმიამ გაათავისუფლა პოლონეთის ტერიტორიაზე. მადლობის გრძნობით ლაპარაკობენ ადამიანები, რომლებმაც თავი დაიფარეს ბრმანის ოკუპანტებს, თავის განმათავისუფლებელ ჯარებს.

გრანდიოზული სახალხო მშენებლობა სტალინგრადში

სტალინგრადის საქალაქო აღმასკომმა შეაჯამა მოხალისე მშენებელთა მიმდინარე წლის მუშაობის წინასწარი შედეგები. 11 თვეში ჩერკასელთა ბრიგადებმა, რომლებიც 20.000-ზე მეტ კაცს აერთიანებენ, სამშობლო ქალაქის აღსადგენად 1 მილიონი 38 ათასი კუბაური მეტრი გამოიმუშავეს. აღდგენილი და ახლად აგებულია 25 სკოლა, 22 საბავშვო, 20 კულტურული, სამკურნალო და სასპორტო დაწესებულება.

ამ-ამად ქალაქის რაიონებში ეწყობა კურსებისა და წრეების ფართო ქსელი მოსახლეობისათვის სამშენებლო სპეციალობათა შესასწავლად. საოლქო წიგნის გამომცემლობა ჭიბალისე მშენებელთა დასახმარებლად უშვებს პოპულარულ ტექნიკურ ლიტერატურას. (საკადსი).

თბილისას 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ბრიგადირ-ზეინკალმა ვახტანგ ტოკაშვილმა სამამულო ომის პერიოდში გამოზარდა ოცამდე ახალგაზრდა ოსტატი.

სურათზე: ბრიგადირი ვ. ტოკაშვილი (მარცხნივ) და მისი გამოზრდილი ოსტატები ბ. ოვანესოვი, ე. ხიზანიშვილი, რომლებიც დავალებას ასრულებენ 200-300 პროცენტამდე.

ფოტო რ. აკოფოვისა

მომზადებული შეეხვდეთ ახალ სამეურნეო წელს

11 თვის მუშაობის შედეგები საქართველოს მრეწველობაში

1944 წლის 11 თვისა და დეკემბრის პირველი დეკადის განმავლობაში საქართველოს მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ წარმატებასთან ერთად, ზოგიერთი საწარმოს მუშაობას ახასიათებდა მრავალი ნაკლი.

ჩვენ აქ მოგვყავს მსუბუქი, ადგილობრივი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლები და ვასახელებთ ზოგ ნაკლს, რაც მრეწველობის ამა თუ იმ საწარმოს მუშაობას აბრკოლებდა.

საჭიროა შეეხვნენთ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რათა ახალ სამეურნეო 1944 წელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მიერ მოპოვებულ გადამწყვეტ გამარჯვებათა წელიწადია. მომავალი 1945 წელი უნდა გახდეს ჩვენი სრული და საბოლოო გამარჯვების წელიწადად. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი ჩვენს მრეწველობას ეკუთვნის. საჭიროა მრეწველობის კიდევ უკეთესად, კიდევ უფრო ნაყოფიერად მუშაობა, რათა მეტი დახმარება გავუწიოთ ფრონტს, მივცეთ სახელოვან წითელ არმიას და სამშობლოს ყოველივე, რაც მათ ესაჭიროებათ.

საჭიროა გამოვიყენოთ ბრძოლა ნარჩენების შემცირებისათვის. ამაში ისე უნდა მოეწყოს, რომ მატყლის გადამუშავების (გარეცხვა, დაპენტვა, დართვა და სხვ.), შედეგად არ დავკარგოთ არც ერთი გრამი ნედლეული და მოვაწესრიგოთ ნარჩენების გამოყენების საქმე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასაწყობო მეურნეობის მოწესრიგებას. საწყობები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ იქ შენახული ნედლეული არ ფუჭდებოდეს და არ იროდოდეს ერთიმეორეზე.

ამასთან დაკავშირებით მრავალი ახალი ღონისძიების განხორციელება მოუხდებათ „გლავშერსტის“ ამიერ-კავკასიის კანტორის მუშაკებს (კანტორის მმართველი ამხ. რინენბერგი), რომლებიც ამ ფაბრიკას აწოდებენ ნედლეულს. პირველ რიგში საჭიროა მოწესრიგდეს სასაწყობო მეურნეობის მუშაობა, მატყლის კლასიფიცირებულად დაწყობა და სათანადოდ შენახვა.

ფაბრიკის ტექნიკურ ხელმძღვანელობის (მთავარი ინჟინერი ამხ. ს. იაკობაშვილი) მოუხდება გაუმჯობესოს საფაბრიკო ლაბორატორიების მუშაობა და არ დაუშვას დაგვიანება და უკეთ ნაცადი ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შემთხვევები.

ფაბრიკამ წარმატებით შესრულს ახალი სამეურნეო წლისათვის გათვალისწინებული გეგმა. სამაისოდ საჭირო იქნება მთელ რიგ დონისძიებათა განხორციელება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეს, გაფართოვდეს პროფესიათა შემსწავლელი წრეების ქსელი, წრეებში ჩაებათ ყველა მუშა, უზრუნველყოთ მათი მაღალნაყოფიერი მუშაობა.

ფეხსაცმლის ფაბრიკების მუშაობაშიც განვლილი 11 თვის მანძილზე მრავალმა დაბრკოლებამ იჩინა თავი. საწარმოო დავალებების მაღალხარისხოვნად შესრულებას აქ აბრკოლებდა დამხმარე მასალების საკმაო რაოდენობით მოუმარაგებლობა. ლურსმნის, წებოს, ფეხსაცმლის კალაპოტების სიმცირე და ე. წ. ფურნიტურის მოუმარაგებლობა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბათუმის ფეხსაცმლისა და თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკებმა გეგმა ვერ შეასრულეს.

მსუბუქი მრეწველობა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალმა საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 10 დეკემბრისათვის 101,3 პროცენტით შეასრულეს.

მსუბუქი მრეწველობის ცალკე დარგებიდან ყველას გაუსწრო სამკერვალო მრეწველობამ, რომელსაც 10 დეკემბრისათვის წლიური გეგმა 108,8 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

კარგად იმუშავეს 1944 წლის 11 თვეში აგრეთვე ფეხსაცმლის პირველმა, მეორე და მესამე ფაბრიკებმა, ქუთაისის და სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატებმა და ჯავრის ფაბრიკამ.

ჩამორჩნენ ტყავის გადამუშავებელი ქარხნები, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა, საგალანტერეო ფაბრიკა, ლილების ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ტყავის გადამუშავებელმა პირველმა ქარხანამ, რომელიც მრეწველობის ამ დარგის წამყვანი საწარმოა, წლიური დავალება 10 დეკემბრისათვის 90,2 პროცენტით შეასრულა. ამ ქარხნის კოლექტივის მუშაობა დაბრკოლა იმ გარემოებამ, რომ არ ჰყოფნიდათ საჭირო ნედლეული ნივთიერებანი, საღებავები და სხვა საჭირო ექსტრაქტები (გოგირდოვანი ნატრიუმი, ცხილები, ქრომირებული მარილები, ე. წ. მონოქრომატი და სხვ.). იმ ქარხნებთან, რომლებიც ამ ექსტრაქტებსა და სათრიმლავ ნივთიერებებს ამზადებენ, ტყავის ქარხანამ უნდა მოაგაროს კავშირი.

გარდა ამისა, ტყავის გადამუშავებელი ქარხნების მუშაობას აფერხებდა ის, რომ ნედლეულს ღებულობდნენ შეფერხებით და ტყავეულობის ხარისხიც უმეტეს შემთხვევაში დაბალი იყო.

მომავალში ამ დაბრკოლებათა თავიდან აცილებლად უკვე ტარდება შესაფერისი ღონისძიებანი.

ფეხსაცმლის ფაბრიკების მუშაობაშიც განვლილი 11 თვის მანძილზე მრავალმა დაბრკოლებამ იჩინა თავი. საწარმოო დავალებების მაღალხარისხოვნად შესრულებას აქ აბრკოლებდა დამხმარე მასალების საკმაო რაოდენობით მოუმარაგებლობა. ლურსმნის, წებოს, ფეხსაცმლის კალაპოტების სიმცირე და ე. წ. ფურნიტურის მოუმარაგებლობა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბათუმის ფეხსაცმლისა და თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკებმა გეგმა ვერ შეასრულეს.

საფეიქრო მრეწველობა

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა შორის ამჟამად ყველაზე მოწინავენი არიან: მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა, რომელმაც 11 თვის გეგმა 107,1 პროცენტით შეასრულა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი (11 თვის გეგმა შესრულებული აქვს 106,5 პროცენტით), თბილისის ბამბის ქარხანა, მაქო-კოქუნის ქარხანა და თბილისის აბრეშუმ-ძაფსაბვეი ფაბრიკა, რომელმაც წლიური საწარმოო დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ 100,8 პროცენტით შეასრულა.

საფეიქრო მრეწველობის ისეთმა წამყვანმა საწარმომ, როგორიცაა თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა, 11 თვის გეგმაც კი მთლიანად ვერ შეასრულა. ამ ჩამორჩენას მაღალკვალიფიციანი ფაბრიკამ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უნდა დაადგოს თავი. ფაბრიკის კოლექტივის მოვალეობაა მომავალი წლის დასაწყისიდანვე გადაჭრით გაუმჯობესოს მუშაობა. ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა, რომელიც დგას ამ ფაბრიკის კოლექტივის წინაშე, სამოქალაქო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებაა. ამასთან საჭიროა ფაბრიკაში ისე მოეწყოს მუშაობა, რომ ქსოვილების თვითღირებულება საგრძნობლად იქნეს შემცირებული, ხოლო ხარისხი გაუმჯობესებული. მათ ამის დიდი შესაძლებლობა აქვთ.

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა ტექნიკურად ერთ-ერთი სანიმუშოდ მოწყობილი საწარმოა. მას აქვს შესანიშნავი მანქანები, ჰყავს მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრები და იღებს მაღალხარისხოვან ნედლეულს. ყველა ეს საშუალებას იძლევა, რომ ფაბრიკამ წარმატებით შეასრულოს ახალი სამეურნეო წლისათვის გათვალისწინებული გეგმა. საჭიროა საჭირო იქნეს მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეს, გაფართოვდეს პროფესიათა შემსწავლელი წრეების ქსელი, წრეებში ჩაებათ ყველა მუშა, უზრუნველყოთ მათი მაღალნაყოფიერი მუშაობა.

საჭიროა გაგაძლიეროთ ბრძოლა ნარჩენების შემცირებისათვის. ამაში ისე უნდა მოეწყოს, რომ მატყლის გადამუშავების (გარეცხვა, დაპენტვა, დართვა და სხვ.), შედეგად არ დავკარგოთ არც ერთი გრამი ნედლეული და მოვაწესრიგოთ ნარჩენების გამოყენების საქმე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასაწყობო მეურნეობის მოწესრიგებას. საწყობები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ იქ შენახული ნედლეული არ ფუჭდებოდეს და არ იროდოდეს ერთიმეორეზე.

ამასთან დაკავშირებით მრავალი ახალი ღონისძიების განხორციელება მოუხდებათ „გლავშერსტის“ ამიერ-კავკასიის კანტორის მუშაკებს (კანტორის მმართველი ამხ. რინენბერგი), რომლებიც ამ ფაბრიკას აწოდებენ ნედლეულს. პირველ რიგში საჭიროა მოწესრიგდეს სასაწყობო მეურნეობის მუშაობა, მატყლის კლასიფიცირებულად დაწყობა და სათანადოდ შენახვა.

ფაბრიკის ტექნიკურ ხელმძღვანელობის (მთავარი ინჟინერი ამხ. ს. იაკობაშვილი) მოუხდება გაუმჯობესოს საფაბრიკო ლაბორატორიების მუშაობა და არ დაუშვას დაგვიანება და უკეთ ნაცადი ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შემთხვევები.

საფეიქრო მრეწველობა

ფაბრიკამ წარმატებით შეასრულოს ახალი სამეურნეო წლისათვის გათვალისწინებული გეგმა. საჭიროა საჭირო იქნეს მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეს, გაფართოვდეს პროფესიათა შემსწავლელი წრეების ქსელი, წრეებში ჩაებათ ყველა მუშა, უზრუნველყოთ მათი მაღალნაყოფიერი მუშაობა.

ადგილობრივი მრეწველობა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა მიმდინარე წლის საწარმოო დავალებები 5 დეკემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს. წლიური საწარმოო დავალებების შესრულებაში დაწინაურდნენ 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, თბილისის სინსტრუმენტი ქარხანა, ცელულოიდის ფაბრიკა, ბათუმის მომთუთიებელი ქარხანა, ლითონის კონსტრუქციების ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი 1944 წლის მთელი რიგი თვეების განმავლობაში გამარჯვებით გამოდიოდა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებაში. მორიგი გამარჯვება მოიპოვა ამ ქარხნის კოლექტივმა ნოემბერში, როდესაც მან საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 22,9 პროცენტის გადაჭარბებით და ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა 53,3 პროცენტის გადამეტებით შეასრულა და ამავე დროს მიაღწია ხელფასის ფონდის 12,6 პროცენტით ეკონომიას. ამ მაჩვენებლებით ნოემბერში ქარხნის კოლექტივმა მოიპოვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიიღო პირველი პრემია 15.000 მანეთი.

შესამჩნევად გაუმჯობესა მუშაობა უკანასკნელ თვეებში კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივმაც. ნოემბერში მან მოიპოვეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მიიღეს ფულადი პრემია—10,000 მანეთი.

ნოემბრის განმავლობაში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას მიაღწიეს ავრეთვე ცელულოიდის ფაბრიკის, ბათუმის მომთუთიებელი ქარხნის და საქართველოს ანდეზიტის საწარმოთა კოლექტივებმა.

მომავალი სამეურნეო წლისათვის საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება და თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქციის გამოშვებასთან ერთად გაფართოონ იმ პროდუქციის ასორტიმენტიც, რაზედაც ჩვენი სახალხო მეურნეობა ახლა დიდ მოთხოვნებს აყენებს.

ახალი სამეურნეო წლისათვის მზადების პერიოდში საწარმოებში უნდა მოეწყოს შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერება. საჭიროა დამუშავდეს ნაკადური სისტემის შემოღების საკითხები და დაუყოვნებლივ გავატაროთ იგი, სადაც ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. ამ თვითვეს უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ მომავალი წლიდან ყველა საწარმო მუშაობდეს გრაფიკით.

პროფესიათა შორის შეჯიბრების გაწევამ საქართველოს მრეწველობის მთელ რიგ დარგებში შესანიშნავი შედეგები მოგვცა. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, სადაც ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევენ. მომავალ წელს ეს ნაკლიც უნდა გამოვასწოროთ.

1944 წლის ბოლომდე ცოტა დრო დარჩა. ეს დრო მაქსიმალური ნაყოფიერებით უნდა იქნეს გამოყენებული, რათა ჩვენი მრეწველობის ყველა დარგი სრული მზადყოფნით შეხვდეს ახალ სამეურნეო წელს და იანვრის პირველი დღეებიდანვე მიაღწიოს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს. ვიმუშაოთ დღეს ოკეანესად, ვიდრე გუშინ ვმუშაობდით, ხვალ კიდევ უკეთესად, ვიდრე დღეს ვმუშაობთ, — ასეთი უნდა იყოს ყოველი სამეურნეო მუშაკის, ყოველი ჩვენი აქტივისტის, ჩვენი სტახანოველის სამრეწველო ლოზუნგი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის წინ

საუბარი მუსიკაზე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წევრთან, მუსიკალურ დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროს ამხ. ვ. ნ. სურინთან

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადასთან დაკავშირებით მოსკოვიდან ჩამოსულმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წევრმა, მუსიკალურ დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. ნ. სურინმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან საბჭოთა მუსიკის დეკადას აწყობს იმიტომ, რომ აჩვენოს ის წარმატებანი მუსიკალური შემოქმედების დარგში, რაც მიღწეულ იქნა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში. ჩვენი სამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ინტელიგენციას დიდი დამსახურება მიუძღვის, რასაც ამტკიცებს სტალინმა მაღალი შეფასება მისცა თავის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებაში. ბელადის ეს შეფასება ეხება საბჭოთა კომპოზიტორებსაც, რომლებმაც ომის წლებში უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა გასწიეს.

სამამულო ომის პირველი დღიდანვე გაისმა გამარჯვებისაკენ მომწოდებელი პატრიოტული სიმღერები, რომლებიც კიდევ უფრო აძლიერებენ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გმირი მებრძოლების მორალურ და საბრძოლო სულისკვეთებას. ეს სიმღერები ძოუწოდებენ მთელ საბჭოთა ხალხს თავდადებული ბრძოლისაკენ ფაშიზმის საბოლოო განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ბრძოლის პათოსით აღსავსე ათასობით სიმღერებთან ერთად შეიქმნა მონუმენტური ნაწარმოებნი, რომლებშიც გამოხატულია საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. საბჭოთა მუსიკალური კულტურა გამდიდრდა ისეთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებებით, როგორიცაა შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია, მიასკოვსკის მეორე, 23-ე, 24-ე სიმფონიები, შაპორინის ორატორია რუსეთისათვის ბრძოლის შესახებ, ხაჩატურიანის მეორე სიმფონია, პროკოფიევის მუსიკალური ნაწარმოებნი. ფართოდ არის ცნობილი აგრეთვე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომპოზიტორებიი—არაიშელის, ბაჯიბეკოვის, აროო სტეპანიანის შემოქმედება. აქვე უნდა დავასახელოთ კომპოზიტორთა შედარებით ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ეკუთვნიან: შ. მშველიძე, გ. კილაძე, ვ. გუკელი, ა. ბალანჩივაძე, ეგიაზარიანი, კარო ბაკარიანი, ი. ტუსკია, ლიანი. საბჭოთა ხელოვნების სიამაყის—სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის ვხვდებით ამიერ-კავკასიელ რესპუბლიკების ნიჭიერ კომპოზიტორთა სახელებს, რომლებმაც მოგვცეს საბჭოთა ხელოვნების მაღალხარისხოვანი ნიმუშები.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა, რომელიც ხვალ იხსნება ბაქარია ფალაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში, წარმოადგენს ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის გამოხატულებას